საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

დავით ქსნის ერისთავი

დავით ქსნის ერისთავი (გ. 1774), ერისთავი 1753–74. მხარს უჭერდა თეიმურაზ II-სა და ერეკლე II-ს.

თავი გამოიჩინა ხუნ-ძახის ბატონის ნურსალ-ბეგის წინააღმდეგ მჭადიჯვრის (1754) და ყვარლის (1755) ბრძოლებში. 1755 მონაწილეობდა ერეკლე II-ის ლაშქრობაში გამდგარი ხევსურეთის წინააღმდეგ.

შემდეგ, როგორც ჩანს, თანაუგრძნობდა ერეკლე II-ის ოპოზიციას. 1770 მეფესთან დააბეზღეს. ამხილეს როგორც მოღალატე, მაგრამ თავი გაიმართლა.

წყარო: ორბელიანი პ., ჰამბავნი ქართლისანი, ე. ცაგარეიშვილის *გამოც.*, თბ., 1981.

გ. ჯამბურია